სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05678398762710

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N100268106

რეგისტრაციის თარიღი

24.03.2010 წ

ნოტარიუსი: ლუიზა უმიკაშვილი

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #61, პირველი სართული

ტელეფონი: 34 59 16

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასათი წლის ოცდაოთხ მარტს მე, ლუიზა უმიკაშვილს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №61, პირველი სართული, მომმართა ბატონმა ალექსანდრე ბაზღაძემ. მან განაცხადა, რომ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სოლე"-ს (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №112) დირექტორი, სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ალექსანდრე ბაზღაძემ (დაბადებული 01.05.1951წ. თბილისში, პირადი №01005006025, პირადობის მოწმობის №ბ 0158149, გაცემული 29.04.1997წ. თბილისის დიდუბის შსს მიერ, მოქმედების ვადა უვადო, მისამართი, თბილისი სამტრედიის კორპ. 4ა, ბინა 59) მომმართა.

მე შევამოწმე შპს „სოლე"-ს დირექტორის ალექსანდრე ბაზღაძის უფლებამოსილება შპს „სოლე"-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ გვერდის www.public.reestri.gov.ge მეშვეობით, განაცხადის ნომერი: 11670, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10006215, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/02/2010 15:08:14, საიდენტიფიკაციო კოდი 202463280).

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ლუიზა უმიკაშვილმა, წინამდებარე გადაცემის აქტი (მინდობილობა) წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ გადაცემის აქტი (მინდობილობა) სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე გადაცემის აქტს (მინდობილობას):

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასათი წლის ოცდაოთხ მარტს მე, ალექსანდრე ბაზღაძე, როგორც შპს „სოლე"-ს დირექტორი, რომელიც შემდგომში წოდებულია „საკუთრების მიმნდობი",

ლევან ბაზღაძეს (დაბადებული 10.07.1985წ. თბილისში, პირადი №01007011831, პირადობის მოწმობის №გ 0348127, გაცემული 03.12.2001წ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შსს III განყოფილების მიერ, მოქმედების ვადა 03.12.2011წ. მისამართი, თბილისი სამტრედიის კორპ. 4ა, ბინა 59), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი მესაკუთრე",

უფლებას ვაძლევ იყოს შპს „სოლე"-ს წარმომადგენელი სს „ბაზის ბანკში", რათა განკარგოს შპს „სოლე"-ს სახელზე გახსნილი ანგარიში, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები სავალუტო და სალარე ანგარიშებზე, გამოიტანოს და შეიტანოს ნებისმიერი თანხა, მიიღოს ამონაწერი და სხვა დოკუმენტაცია, მოახდინოს გადარიცხვები, კონვერტაცია, აგრეთვე იყოს შპს „სოლე"-ს წარმომადგენელი საგადასახადო ორგანოებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საჯარო რეესტრში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში.

ლევან ბაზღაძე უფლებამოსილია შპს „სოლე"-ს სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, გააფორმოს კონტრაქტები, აწარმოოს ყველა სახის კომერციული საქმიანობა. საჭიროების შემთხვევაში მოაწეროს ხელი შპს „სოლე"-ს სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლუიზა უმიკაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ორი - გადაეცა მხარეს.
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 5.00 ლარი და რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998წ. №1417-II ს) 29-ე მუხლის და 31[1] მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

შპს „სოლე"-ს დირექტორი
ალექსანდრე ბაზღაძე

ნოტარიუსი ლუიზა უმიკაშვილი

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	11670
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B10006215
ამონაწერის მომზადების თარიღი:	10/02/2010 15:08:14

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს სოლე
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, წერეთლის გ.N 112
ფაქტობრივი მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	202463280
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	06/11/2009
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა

პროკურისტები

სუბიექტი, ტიპი, შენიშვნა

პარტნიორები

მფლობელები	წილი	ანგარიშის ნომერი
01005006025, ალექსანდრე ბაზღაძე,	100.0000	202463280-SH-00001

დირექტორები

სუბიექტი, თანამდებობა, მმართველობის ტიპი, შენიშვნა

- 01005006025, ალექსანდრე ბაზღაძე,
  ხელმძღვანელი, ერთპიროვნულად,

ყადაღა/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის / პარტნიორის წილზე გირავნობის უფლება:
რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურის ნებისმიერ ფილიალში.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120365602
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.04.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ლუიზა უმიკაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #61, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	34 59 16
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	27976755598212

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათასთორმეტი წლის ექვს აპრილს მე, ნოტარიუსს ლუიზა უმიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №61, პირველი სართული, მომმართა ბატონმა ლევან ბახღაძემ (დაბადებული 10.07.1985წ. თბილისში, პირადი №01007011831, პირადობის მოწმობის №d 1375348, გაცემული 05.04.2011წ. სრს ხარაგაულის სამსახურის მიერ, მოქმედების ვადა 05.04.2021წ. მისამართი: ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა №7), რომლის მოთხოვნის საფუძველზე ვამოწმებ მინდობილობის (დამოწმებული 24.03.2010წ. ჩემს, ნოტარიუსის ლუიზა უმიკაშვილის მიერ, რეგისტრაციის №100268106) ფოტოასლის შესაბამისობას დედანთან. ასლი დამზადებულია ჩემს არქივში დაცული დედნიდან.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 3.00 ლარი და რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.6-ე მუხლის და 39-ე მუხლის საფუძველზე.

ნოტარიუსი ლუიზა უმიკაშვილი

შეკერილია და დანომრილია

„____“ ფურცლად

GEORGIA. NOTARY LIZA UMIKASHVILI

* 01011005358 *